განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„ტურიზმის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:
საქართველოს ეკონომიკის განვითარების, საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციის, დასაქმების, ეკონომიკის ზრდისა და ქართული კულტურისა და ღირშესანიშნაობათა, ბიომრავალფეროვნების წარმოჩენის საქმეში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ტურიზმს. პანდემიამდელი მონაცემები ნათლად მიუთითებს, რომ ტურიზმი და მასთან დაკავშირებული საქმიანობა საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიაა, რომელიც 2022 წლის მონაცემით ტურიზმთან ასოცირებული წმინდა დამატებითი ღირებულებას, როგორც მშპ-ს წილს 7.2%-ს შეადგენს. პანდემიამდე მონაცემით კი 8.4 %-ს შეადგენდა.[1] არსებულ ტენდენციების (აღდგენის დინამიკას თუ გავითვალისწინებთ) შემდეგი წლის მონაცემი მინიმუმ უნდა მიუახლოვდეს პანდემიამდე მონაცემს. ტურიზმი ქვეყნის სერვისის ექსპორტის უმნიშვნელოვანესი წყაროა და დასაქმების ერთ-ერთი მთავარი გენერატორი. გლობალურ და რეგიონულ დონეზე არსებული გამოწვევების დაძლევასთან ერთად ტურიზმის მდგარდი ზრდა გარდაუვალია.

ამ ფონზე ტურიზმის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზა საჭიროა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ მოქმედი კანონი იმდენად მოძველებულია, რომ კანონმდებლობა სფეროსათვის მნიშვნელოვან ტერმინებსაც კი არ იცნობს და იმგვარად განსაზღვრავს დარგის მართვის ორგანოებს, რომ მათი ფუნქციები და უფლებამოსილებები გაურკვეველია, რაც არაერთ პრობლემას წარმოშობს. კანონმდებლობა ასევე არ იცნობს ხარისხის და უსაფრთხოების რეგულირებებს, რის გამოც არა მხოლოდ დაბალი ხარისხის მომსახურებას იღებს ქვეყანაში შემოსული თუ შიდა ტურისტი, არამედ მომხმარებელთა უფლებების სათანადო დაცვაც კი ვერ ხერხდება. ტურიზმის კანონმდებლობის ხარვეზები მითითებულია არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ კვლევაში[2], რაც სახელმწიფოს აყენებს მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე ადეკვატურად უზრუნველყოს ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება, ტურისტთა უფლებების ეფექტიანი დაცვა და ტურისტული სერვისების გაუმჯობესება და უნიკალური სერვისების შეთავაზება.

ტურიზმის ექსპერტთა და ინდუსტრიაში დასაქმებულ პირთა მოსაზრებითა და ანალიტიკურ კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ტურისტული პროდუქტის, მარკეტინგული აქტივობებისა და შეთავაზების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ქვეყანაში ჯერ კიდევ მრავალი აუთვისებელი რესურსია უნიკალური ბუნებრივი და კულტურული

---

[1] „2021 წლის საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა“ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.
[2] http://tourisminstitute.ge/files/attach/tourism_regulation.pdf, ტურიზმის ინსტიტუტი, 2017 წელი.

მემკვიდრეობის ერთობლიობის გათვალისწინებით.[3]

2014-2015 წლებში მსოფლიო ბანკის ექსპერტთა ჯგუფის მხარდაჭერით ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მოამზადა ეროვნული სტრატეგია და 2015-2025 წლების სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი მიღებული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ და წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, სადაც განსაზღვრულია განვითარების სამომავლო ხედვა, სტრატეგიულ მიზნები, ამოცანები და ცალკეული მიმართულებით სამოქმედო გეგმები.

სტრატეგიის მიხედვით, 2025 წლამდე, საქართველოს ტურიზმის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზების მიწოდება, გააღრმავოს ქვეყნის მიმართ მოგზაურთა დაინტერესება, ხელი შეუწყოს შიდა ტურისტული ბაზრის გააქტიურებას; ტრეინინგებისა და საკანონმდებლო ბაზის დახვეწის გზით შესაძლებელი გახდეს ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა.

ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და რელიეფის გათვალისწინებით, საქართველო რეგიონში სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ცენტრია. ქვეყანაში შემოსული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის მკვეთრი ზრდა განაპირობებს მოთხოვნის ზრდას კვალიფიციურ და კარგად მომზადებულ სამთო გიდებზე და მაღალი რისკის (სათავგადასავლო) და მომსახურებების უსაფრთხო მიწოდებაზე. ხარისხის და უსაფრთხოების სავალდებულო სტანდარტების არ ქონა საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის ტურისტულ იმიჯს და კონკურენტუნარიანობას.

ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამთო-სათავგადასავლო მარშრუტებზე შეუძლიათ მხოლოდ მაღალკვალიფიციურ გიდებს. დღეისათვის ქვეყანაში მსგავსი კვალიფიკაციის მქონე გიდების ნაკლებობაა, შესაბამისად, არსებობს მნიშვნელოვანი რისკი უსაფრთხო მოგზაურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

პრობლემას წარმოადგენს პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩოს არარსებობა, რომელიც განაპირობებს არაჯანსაღ კონკურენციას. მცირე გამონაკლისის გარდა, უმრავლეს შემთხვევაში მოქმედ პრაქტიკოს მთის/სათავგადასავლო ტურიზმის გიდებს არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და არ გაუვლიათ ტრეინინგების ის ეტაპები, რაც კანონით მოეთხოვებათ სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ამდენად, სრულიად ცხადია საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმის შექმნის აუცილებლობა. საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის პირობებში, სამუშაო ნორმატივების დაცვა არ ხორციელდება, შესაბამისად, მაღალი რისკის პროფესიები სრულიად დაუცველია სახელმწიფოს მხრიდან. გარდა ამისა, არსებობს სექტორში ახალგაზრდა კადრების სწავლების, დასაქმებისა და მთის პროფესიების პოპულარიზაციის აუცილებლობა.

[3] სამთო-საგამყოლო საქმიანობის რეგულირება და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბება, საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია, 2017 წელი

მსგავსი გამოწვევა არსებობს ტურისტულ გიდებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი პრობლემაა გიდების განათლების/კვალიფიკაციის საკითხი.[4]

ტურიზმის განვითარების მიზნით ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება განპირობებულია ასევე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების მოთხოვნებით, რომელთა განსახორციელებლად დაინტერესებულია საქართველო, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი. აღნიშნული მიზნები და ამოცანები საგანგებოდ უსვამენ ხაზს ტურიზმის სფეროში სახელმწიფოთა ძალისხმევის გააქტიურებას. სწორედ ასეთი ამოცანაა „2030-ისთვის შესაბამისი პოლიტიკის შექმნა და განხორციელება, რაც ხელს შეუწყოს მდგრად ტურიზმს, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს და ახალისებს ადგილობრივ კულტურასა და პროდუქციას" გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი 8 (ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა).

2018 წლიდან ძალაში შევიდა ევროკავშირის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის (EU) 2015/2302 დირექტივა საგზურით მოგზაურობისა და კომბინირებული სამოგზაურო მომსახურებების შესახებ, რომლითაც ცვლილებები შედის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციაში (EC) No 2006/2004 და დირექტივაში 2011/83/EU და უქმდება საბჭოს დირექტივა 90/314/EEC. აღნიშნული დირექტივა ითვალისწინებს რიგ უმნიშვნელოვანეს სიახლეებს ტურისტული მომსახურების სფეროში. მათ შორის:

- **ტუროპერატორის მიერ ტურისტისთვის წინასახელშეკრულებო ინფორმაციის ამომწურავად მიწოდების ვალდებულება;**
- **ახალი პროდუქტის - კომბინირებული ტურისტული მომსახურებასთან დაკავშირებით ჩანაწერების გაჩენა;**
- **ტურისტული პაკეტის ახლებური განმარტება.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციით ტუსრიტული პაკეტი განმარტებულია დირექტივის წინა, 1990 წლის, ვერსიის შესაბამისად. ახალი განმარტების საჭიროება გამოიწვია ინტერნეტის და ტექნოლოგიების განვითარებამ. თუ ძველი დირექტივა პაკეტს განმარტავს, როგორც, ტუროპერატორის მიერ, მინიმუმ ორი ტურისტული მომსახურების გაერთიანების შედეგად შექმნილ პროდუქტს (პაკეტს), ახალი განმარტება ასევე ფარავს მაგალითად ისეთ შემთხვევებს, როდესაც პაკეტი არ შეუკრავს ტუროპერატორს, არამედ ტურსტმა ტუროპერატორის ვებგვერდზე თავად აირჩია ორი ან მეტი პროდუქტი და განახორციელა ერთიანი თანხის გადახდა;
- **პაკეტზე უარის თქმის უფლება.** ახალი წესებით ტურისტს შეუძლია უარი თქვას პაკეტზე თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ პაკეტის ღირებულება გარკვეული წინასწარ განსაზღრული ფაქტორების ზეგავლენის გამო 8%-ზე მეტით იზრდება, ტურისტს ტუროპერატორის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში უფლება აქვს დაეთანხმოს შემოთავაზებულ ცვლილებებს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების შეწყვეტის საფასურის გადახდის გარეშე;
- **ტუროპერატორის მიერ ტურისტის დახმარების ვალდებულება.** თუ პაკეტით გათვალისწინებულ ვადებში ტურისტის უკან დაბრუნება შეუძლებელია

4 „შრომითი რესურსების ბაზრის მოთხოვნები ტურიზმის ინდუსტრიაში", საქსტატისა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის კვლევა

გაუთვალისწინებელი ვითარების დადგომის გამო, ტუროპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს ტურისტი განთავსების ადგილით მაქსიმუმ სამი დღის მანძლზე. ტუროპერატორს ასევე ევალება საჭიროების შემთხვევაშ მიაწოდოს ტურისტს ინფორმაცია ადგილობრივი ჯანდაცვის ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი სიახლეები მომსახურებების, ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების და საკონსულო დახმარების შესახებ; ასევე, დაეხმაროს ტურისტის ალტერნატიული ტურისტული მომსახურების მოძიებაში;

- **ტუროპერატორის/კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულება, იქონიოს ფინანსური უზრუნველყოფა მისი შესაძლო გადახდისუუნარობის შემთხვევისთვის.** კანონპროექტის თანახმად, ფინანსური უზრუნველყოფის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ტუროპერატორს/კომბინირებული მომსახურების მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაზღვევა ან საბანკო გარანტია.კანონპროექტით, ტუროპერატორის/კომბინირებული მომსახურების მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულების ზედამხედველ სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია განისაზღვრა. იმის დასადგენად, თუ რამდენად ადეკვატურია ტუროპერატორის/კომბინირებული მომსახურების მიმწოდებლის უზრუნველყოფა (დაზღვევა/ გარანტია) მის ფინანსურ ვალდებულებებთან, სუბიექტი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში წარადგენს წლიურ და კვარტალურ ანგარიშებს ტურისტული პაკეტის და კომბინირებული მომსახურებების გაყიდვით მიღებულ შემოსავლებზე. კანონის მიზნებიდან გამომდინარე ტუროპერატორის/კომბინირებული მომსახურების მიმწოდებლის გადახდისუუნარობას ადგენს ტურიზმის ერობნული ადმინისტრაცია. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია დაადგენს ტუროპერატორის/ კომბინირებული მომსახურების მიმწოდებლის გადახდისუუნარობის ფაქტს, დაზარალებული ტურისტი, რომელსაც გაუუქმდა პაკეტი, უფლებამოსილი იქნება აინაზღაუროს პაკეტში გადახდილი თანხა უზრუნველყოფიდან.

რაც შეეხება, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 14 იანვრის 2008/122/EC მომხმარებლის დაცვის შესახებ დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულების, გადაყიდვისა და გაცვლის ხელშეკრულებების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით დირექტივის მოთხოვნებს - დირექტივიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტები მოიცავს დროის განაწილების ხელშეკრულების განმარტებას, ხელშეკრულების შესადგენად სავალდებულო პუნქტების გათვალისწინებას და რაც ყველაზე მთავარია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღიანი საშეღავათო პერიოდის დადგენას, რომლის დროს მომხმარებელს შეუძლია ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უარი თქვას დროის განაწილების ხელშეკრულებაზე.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მიზნით საკანონმდებლო დაახლოება ითვალისწინებს: 2015 წლის 25 ნოემბრის (EU) 2015/2302 და 2009 წლის 14 იანვრის 2008/122/EC დირექტივების იმპლემენტაციას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნული დირექტივის დებულებების რეცეფცია ეროვნულ კანონმდებლობაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები აფიქსირებენ, არის აღურიცხავი ტურისტული საქმიანობები. არსებული გამოწვევა ქმნის არაკონკურენტულ გარემოს ინდუსტრიაში. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით, 2019 წელს, Nace Rev.2-ის 55 დარგში „განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა“ აღურიცხავი გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში განისაზღვრა 56.2%-ით. აღურიცხავი ინდუსტრია ასევე შეუძლებელს ხდის ქვეყანაში არსებობდეს ტურისტული საქმიანობების მიმართულებებით ზუსტი სტატისტიკური მონაცემები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ტურიზმის სფეროს შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია განახლებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ისეთი საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს, ტურიზმის სფეროს მართვის ძირითადი კომპონენტების მოწესრიგებას, რაც დარგს მისცემს ხარისხის განვითარებისა და ტურისტების მოზიდვის გარანტიებს, კონკურენციის განვითარებას. დღეს მოქმედი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულია 1997 წელს და ვერანაირად ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც ტურიზმის სექტორის წინაშე დგას დღეისათვის.

გარდა ამისა, ტურისტული მომსახურების არსებული რეგულაციების შეცვლა და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა შეუძლებელია საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტი ხელს შეუწყობს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას და მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევას როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული და დასაქმების თვალსაზრისით. გაუმჯობესდება ტურისტული მომსახურების ხარისხი და ტურისტთა უსაფრთხოება, უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის კოორდინაცია და სხვადასხვა ზომების განხორციელება, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ტურისტული პროდუქტების შექმნასა და რეკლამირებას.

კანონპროექტით შესაძლებელი გახდება ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით გათვალისწინებულია ტურიზმთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, ტურიზმის სექტორში სამეწარმეო საქმიანობის რეგულირებისა და კოორდინაციის პრინციპების დადგენა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების უზრუნველყოფა და სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირება, უფლებამოსილი ორგანოების ფუნქციებისა და მოვალეობების, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის მექანიზმების დადგენა, ტურისტების უფლებებისა და მოვალეობების, ტურისტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დებულებების დადგენა და ტურიზმთან

დაკავშირებულ სხვა საკითხების განსაზღვრა.

განისაზღვრება ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანები, და პრინციპები, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფლებამოსილებანი.

სავალდებულო ხდება ტურისტული საქმიანობების რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

საუკეთესო ევროპული პრაქტიკისა და ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით განისაზღვრება ტურ ოპერატორის და კომბინირებული ტურისტული ხელშეკრულების მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფა შესაბამისი პასუხისმგებლობის დაზღვევით ან/და ფინანსური/საბანკო გარანტიით.

მოვაჭრე (ტუროპერატორი და კომბინირებული მომსახურების მიმწოდებელი) ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას წარუდგენს შესაბამისი უზრუნველყოფის დამადასტურებელ ხელშეკრულების ერთ ეგზემპლარს. კანონპროექტის თანახმად, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უზრუნველყოფის აღსრულების საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ტურისტის მიერ უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნის მიღების შემდეგ მოახდენს ტურისტის სასარგებლოდ შესაბამისი გადახდების განხორციელების ორგანიზებას. თუ ეს შესაძლებელია, უზრუნველყოფის თანხა გამოიყენება პაკეტის მომსახურების გაგრძელებისთვის.

კანონპროექტით განისაზღვრება მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების, მათ შორის სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის საქმიანობის რეგულირების საკითხები. კანონპროექტით, მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების/აქტივობების სია და განხორციელების წესი განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით/ტექნიკური რეგლამენტით.

კანონპროექტით სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის საქმიანობის უფლების მოპოვება ხდება აკრედიტირებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული პირების მეშვეობით;

ტურისტული გიდების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მთავრობა განსაზღვრავს შესაბამის ადგილებს, სადაც ტურისტული გიდის საქმიანობის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სახელმწიფო გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე პირებისთვის. მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მოპოვებისთვის წინაპირობები განისაზღვრება სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი მოწმობის მფლობელი პირი თავისუფლდება სახელმწიფო მუზეუმებსა და დაცულ ტერიტორიებზე შესვლისათვის დაწესებული გადასახდელისაგან.

მნიშვნელოვანი სიახლეა დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) შექმნის სამართლებრივი წინაპირობების განსაზღვრა. კანონპროექტით ტურისტული დანიშნულების

ადგილის მართვის ორგანიზაცია არის ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარებისა და კონკრეტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსი. დანიშნულების მართვის ორგანიზაციის დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ მუნიციპალიტეტ(ებ)ი და კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი ან/და არაკომერციული იურიდიული (ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ასოციაცია) პირი ან/და ფიზიკური პირი.

კანონპროექტით, დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსს ანიჭებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. დანიშნულების მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესი განისაზღვრება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებით.

„ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ სახელწოდების გამოყენების უფლება ექნება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციის მიერ „ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ სტატუსი აქვს მინიჭებული. თუ პირი არამართლზომიერად იყენებს ამ სახელწოდებას, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას უფლება აქვს მოითხოვოს მისი გამოყენების შეწყვეტა. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას უფლება აქვს შეიმუშაოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობის რეკომენდაციები.

კანონპროექტი ითვალისწინებს ტურიზმის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის უნიფიცირებულ სტანდარტებს ტურისტულ პაკეტთან და დაკავშირებული მოგზაურობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. კანონპროექტით ახლებურად განისაზღვრება ტურისტული პაკეტის ცნება.

კანონპროექტის თანახმად, ტურისტს, მოგზაურობასთან (პაკეტთან) დაკავშირებით, ხელშეკრულების დადებამდე, წერილობით ან ტურისტისათვის მისაღები სხვა ფორმით, მოვაჭრემ უნდა მიაწოდოს დაწვრილებითი ინფორმაცია:
ა) მოგზაურობის ძირითადი მახასიათებლების შესახებ:
ა.ა) დანიშნულების ადგილის, მარშრუტის, ყოფნის პერიოდს თარიღების მითითებით, ხოლო თუ პაკეტი მოიცავს განთავსების საშუალებას გასატარებელი ღამეების რაოდენობის შესახებ;
ა.ბ) გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებების მახასიათებლები და მათი კატეგორია, დანიშნულების ადგილისა და მიზნების, გამგზავრების და დაბრუნების თარიღების, შუალედური გაჩერებების დროისა და ადგილების, სატრანსპორტო კავშირების ხანგრძლივობისა და ადგილმდებარეობის შესახებ.
ა.გ) განთავსების საშუალების ადგილმდებარეობის, ძირითადი მახასიათებლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, საცხოვრებლის ტურისტული კატეგორიების შესახებ, დანიშნულების ადგილის ქვეყნის წესების შესაბამისად;
ა.დ) კვების განრიგის შესახებ;
ა.ე) ვიზიტების, ექსკურსიების ან სხვა მომსახურებების შესახებ, რომლებიც პაკეტის შეთანხმებულ საფასურში შედის;

ა.ვ) იმ შემთხვევაში, თუ მოგზაურობის მოსაწყობად აუცილებელია ტურისტთა გარკვეული რაოდენობა, ჯგუფის სიდიდის შესახებ;
ა.ზ) ინფორმაცია კომუნიკაციის/ენის შესახებ, რომელზეც აღნიშნული მომსახურებები იქნება გაწეული.
ა.თ) ინფორმაცია შეზღუდული გადაადგილების უნარის მქონე პირებისათვის მოგზაურობის თავსებადობის შესახებ, ხოლო მოგზაურის მოთხოვნის შემთხვევაში, ზუსტი ინფორმაცია მგზავრობისათვის შესაბამისობის შესახებ, მოგზაურის საჭიროებების გათვალისწინებით.
ა.ი) ტუროპერატორის ან/და ტურაგენტის დასახელების და მისამართის, მათი ტელეფონის ნომრის, და ელ-ფოსტის მისამართის შესახებ;
ა.კ) პაკეტის მთლიანი ღირებულება გადასახადებისა და ყველა დამატებითი საფასურების, გადასახდელებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით, ან, თუ აღნიშნული ხარჯების გონივრული გაანგარიშება ხელშეკრულების დადებისას წინასწარ შეუძლებელია, მითითებას დამატებითი ხარჯების სახეობების შესახებ, რომელთა გაწევაც მოგზაურს შეიძლება დაეკისროს;
ა.ლ) გადახდის წესების და გრაფიკის შესახებ, მათ შორის ტურისტის მიერ წარსადგენი ან გადასახდელი ფინანსური გარანტიების შესახებ;
ა. მ) პაკეტის განსახორციელებლად საჭირო ადამიანების მინიმალური რაოდენობის შესახებ და ასევე ინფორმაციას პაკეტის დაწყებამდე რამდენი დღით ადრე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულება, თუ არ შეგროვდა აღნიშნული რაოდენობა;
ვ) პასპორტთან ან/და ვიზასთან (მათ შორის ვიზის მისაღებად საჭირო დროის შესახებ), აგრეთვე დანიშნულების ქვეყნის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ;
ზ) ინფორმაციას ტურისტის უფლების შესახებ, მოგზაურობის (პაკეტის) დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება შეწყვეტის საფასურის გადახდის სანაცვლოდ;
თ) ინფორმაცია ნებაყოფლობითი ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ, რომელიც ფარავს ტურისტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეულ ხარჯებს, მათ შორის, რეპატრიაციასთან, უბედური შემთხვევის, ავადმყოფობასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

განისაზღვრება, რომ ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება უნდა იყოს შედგენილი მკაფიო და გასაგები ფორმით. ხელშეკრულების დადებისთანავე ტუროპერატორი ან/და ტურაგენტი ვალდებულია ტურისტს გადასცეს ხელშეკრულების ასლი ხანგამძლე მატარებლით (საშუალება, რომელიც იძლევა ინფორმაციის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია შემდგომი გამოყენებისათვის ინფორმაციის მიზნებიდან გამომდინარე ადეკვატური პერიოდის განმავლობაში და რომელიც იძლევა შენახული ინფორმაციის შეუცვლელად რეპროდუქციის შესაძლებლობას). აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების შესაბამისობის შესახებ მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს.

მნიშვნელოვანია ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების ფასის ცვლილების დეტალური რეგულირება. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების დადების შემდეგ, მისი ღირებულების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში მკაფიოდაა მითითებული აღნიშნულის შესახებ, ასევე მითითებულია ტურისტის უფლება ფასის შემცირების მოთხოვნის შესახებ. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებაში უნდა იყოს მითითებული ფასის შეცვლის და გამოთვლის წესი. ფასის გაზრდა შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მგზავრების გადაყვანიის ღირებულება გაიზარდა საწვავის ან სხვა ენერგიის გაზრდის გამო;
ბ) გაიზარდა კონკრეტული სატრანსპორტო და გადაზიდვის მომსახურების, ასევე ტურისტების, საჰაერო ხომალდის დაშვების, მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის, პორტებსა და აეროპორტებში ტვირთის გადატანა-გადაზიდვის გადასახადები;
გ) გაიზარდა პაკეტში გათვალისწინებული სავალუტო კურსის ოდენობა.
ფასის შემცირების შემთხვევაში, ტუროპერატორს უფლება აქვს ტურისტისთვის დასაბრუნებელი თანხიდან გამოქვითოს ფაქტობრივად გაწეული ადმინისტრაციული ხარჯი. ტურისტის მოთხოვნით, ტუროპერატორმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ადმინისტრაციული ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა.

კანონპროექტით ტუროპერატორი პასუხისმგებელია ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურების გაწევაზე მიუხედავად იმისა მომსახურება გაწეულია უშუალოდ მისი თუ სხვა ტურისტული მომსახურების გამწევი პირის მიერ.

გარდა ამისა, ტუროპერატორს უნდა გააჩნდეს ფინანსური გარანტია, რომელიც ტუროპერატორის გადახდისუუნარობის შემთხვევაში უზრუნველყოფს ტურისტის რეპატრიაციის და საჭიროების შემთხვევაში რეპატრიაციამდე ტურისტის განთავსების ადგილის ხარჯების ანაზღაურებას. თუ ხელშეკრულება წყდება პაკეტის ამოქმედებამდე, პაკეტი უქმდება და ასეთ შემთხვევაში ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტს დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ხელშეკრულების თანახმად გადახდილი თანხა.

კანონპროექტით განიმარტება, აგროტურიზმი, ღვინის ტურიზმი. აღნიშნული კანონპროექტით გათვალისწინებულია აგროტურიზმის და ღვინის ტურიზმის სტატუსის მქონე სუბიექტებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება.

აგროტურიზმის და ღვინის ტურიზმის საქმიანობების სუბიექტების სტატუსის მინიჭების/გაუქების წესი და პროცედურები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):
აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი კანონის პროიექტის მიმართ (კანონის პროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ);

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:
კანონპროექტის ძალაში შესვლა (გარდა მე-12–34, 35-50 და 52-ე მუხლებისა) მიზანშეწონილია განხორციელდეს გამოქვეყნებისთანავე, გამომდინარე იქედან, რომ კანონპროექტის მიღებიდან გარკვეული დრო აუცილებელი იქნება აღნიშნული მუხლების ასამოქმედებლად, საჭირო საკადრო, ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების (მათ შორის ნორმატიული აქტების გამოცემის) განსახორციელებლად. შესაბამისად კანონის

32-34 და 52-ე მუხლების ამოქმედება გათვალისწინებულია 2024 წლის პირველი ივნისიდან, მე-12-31, 37-50 მუხლების ამოქმედება 2026 წლის პირველი ივნისიდან და 35-36 მუხლების ამოქმედება 2027 წლის პირველი ივნისიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):
ინიციატორების მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების (საშუალოვადიან პერიოდში) დაფინანსების წყაროა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართვობის ორგანოების ბიუჯეტი. აგრეთვე, დონორების მიერ გამოყოფილი თანხები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპრექტით განსაზღვრულია, რომ ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგიტრაციას ექვემდებრარება შემდეგი სუბიექტები: კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებელი, განთავსებისა და დროის განაწილების ხელშეკრულების მიმწოდებელი, ტურისტული გიდი, მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების მიმწოდებელი, სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი. აღნიშნული აქამდე არ ექვემდებარებოდა დავალდებულო რეგისტრაციას. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანონბების რეგიტრაციას გავლენა ექნება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკუთარ შემოსავალზე. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება მომართვიანობის რაოდენობაზე და საფასურზე. გარდა ამისა, დანიშნულების მართვის ორგანიზაციას დასჭირდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სამეწარმეო (არასამეწარმეო) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რაც აისახება მის შემსოავალში.

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იმოქმედებს ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ დამატებითი კადრების აყვანა გიდების სერტიფიცირების, გადახდისუუნარობის კონტროლისა და ქოლ-ცენტრის ოპერირების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული კადრების ხელფასის დაფინანსება იგეგმება ბიუჯეტის ასიგნებებიდან, საიდანაც საშემოსავლო გადასახადი უკან დაბრუნდება სახელმწიფო ბიუჯეტში. საშემოსავლო გადასახადის სახით, ბიუჯეტში უკან დაბრუნებული თანხა 2023-2025 წლებში 83, 000 ლარის ოდენობით, ხოლო მომდევნო წლებში, საჯარო სექტორში სახელფასო განაკვეთის ზრდის გათვალისწინებით, საშუალოწლიურად საშემოსავლო გადასახადის სახით უკან დაბრუნებული თანხა 43,700 ლარის ოდენობით.

პროექტით განისაზღვრა ჯარიმები*(კანონპროექტის მუხლი 52)* ტურიზმის კანონმდებლობის დაღვევისთვის. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება დარღვევის რაოდენობაზე.

პროექტით, მაღალი რისკის ტურისტული მომსახურების მიმწოდებელს ევალება საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, რომლის პირობები (მათ შორის, ლიმიტები) და განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. აგრეთვე, ექვემდებარება შესაბამის სერტიფიცირებას, რომლსაც გასცემს აკრედიტირებული იუირიდიული პირი. აკრედიტაციის ერთიანი ორგანო მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად გამოითვლის აკრედიტაციის თანხას, რომლლიც აისახებ აკრედიტაციის ერთიანი ორგანოს საკუთარ შემოსავალში და ოდენობა დამოკიდებული იქნება მიმართვიანობაზე.

შესაძლებელია, მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტიების არსებობამ პოზიტიურად იმოქმედოს ვიზიტორთა რაოდენობასა და ასევე ქართული კომპანიებიდან შესყიდული ტურისტული პაკეტების წილზე, რაც გამოიწვევს სექტორის შემოსავლების ზრდას, და ასევე პოზიტიურად იმოქმედებს სექტორის მიერ ბიუჯეტში განხორციელებულ შენატანებზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯი იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტით დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) სტატუსის გაცემასა და შეჩერებაზე უფლებამოსილ ორგანოა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ასევე კანონპროექტის მიხედვით ადმინისტრაციიდან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიდან თითო-თითო წარმომადგენელი მონაწილეობს DMO-ს მართვისა და წარმომადგენლობის ორგანოებში. მისი დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

აღნიშნული ფუნქციის აღსრულებისთვის, 2023-2024 წლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ დამატებითი კადრის აყვანა არ იგეგმება. თუმცა 2025 წლიდან, იმ შემთხვევაში თუ მოხდება DMO-ების გაძლიერება და მათი აქტივობების გაფართოება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას გაუჩნდება დამატებით ერთი კადრის აყვანის საჭიროება, რომლის სახელფასო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი წლიურად მოსალოდნელია 21,390 ლარს[5], ხოლო კადრის აყვანასთან დაკავშირებული ერთჯერადი ხარჯი (კომპიუტერის, ავეჯისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფა) დაახლოებით 4,244 ლარს.

ამასთანავე, კანონპროექტით ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას ენიჭება გიდების სერტიფიცირების პროცესის აღსრულებაზე კონტროლი. აღნიშნული მიზნით, ადმინისტრაცია 2024 და 2025 წლებში გეგმავს დამატებითი ორი კადრის აყვანას, (ერთი კადრი - 2024 წელს და დამატებით კიდევ ერთი - 2025 წელს), რომელთან დაკავშირებული

[5] შენიშვნა: ხელფასების გაანგარიშებულია ადმინისტრაციის საშუალო ხელფასიდან გამომდინარე, რომელიც შეადგენს 1680 ლარს.

სახელფასო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 2023-2025 წლებში მოსალოდნელია 70,706 ლარი, ხოლო კადრის აყვანის ერთჯერადი ხარჯი 8,240 ლარი.

ამასთანავე, გიდების სერტიფიცირების წესებისა და პროცედურების შესამუშავებლად, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დასჭირდება გარე ექსპერტის მხარდაჭერა, რომლის ხარჯი შეფასებულია 15, 940 ლარს[6]. ექსპერტის მომსახურება შესაძლებელია ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსდეს დონორების მიერ.

დამატებით, ადმინისტრაციას ეკისრება ტუროპერატორების გადახდისუუნარობის კონტროლი და ასევე, გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული საჩივრების მართვა. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, ადმინისტრაციას დასჭირდება ახალი დეპარტამენტის ჩამოყალიბება, რომლის დაარსების ერთჯერადი ხარჯი შეადგენს 20,600 ლარს, ხოლო ადამიანური რესურსის სახელფასო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი 2023-2025 წლებში მოასალოდნელია შეადგინოს 341,591 ლარის ოდენობით, ხოლო საშუალოწლიური ხარჯები ინფლაციისა და საჯარო სექტორში სახელფასო განაკვეთის ზრდის გათვალისწინებით შეადგენს 170, 795 ლარს.

ამასთანავე, ადმინისტრაციას დასჭირდება 2027 წლიდან პირველი ივნისიდან გიდების მაიდენტიფირიცირებული ნიშნის და ტუროპერატორების გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის ვალდებულებების მართვის მიზნით გარკვეული სერვისების გაციფრულება. საშუალოდ, ელექტრონული სერვისებისთვის საჭირო სისტემის მომზადების ერთჯერადი ხარჯი წარმოადგენს 690 ათასიდან 1,6 მილიონ ლარამდე და დამოკიდებულია ტექნოლოგიასა და სისტემის ფუნქციონალთან დაკავშირებული მოთხოვნაზე. აღნიშნული პროგრამის დაფინანსება იგეგმება დონორის მხარდაჭერით. სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსების საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განვითარების ხარჯი მერყეობს 70-დან 162 ათას ლარამდე (დათვლილია 10%-იანი თანადაფინანსებისთვის).

ამასთან, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაცია მომხმარებელთან კომუნიკაციის მიზნით საჭიროებს ქოლ ცენტრის განვითარებას. ქოლ ცენტრის დაარსების ერთჯერადი ხარჯი შეადგენს 196, 333 ლარს [7](არ არის გათვალისწინებული საოფისე სივრცის გამოყოფის ხარჯი), ხოლო ოპერირებასთან დაკავშირებული ხარჯი 2023-2025 წლებში მოსალოდნელია 358 850 ლარის ოდენობით, ხოლო საშუალო წლიური შენახვის ხარჯი ინფლაციისა და საჯარო სექტორში სახელფასო განაკვეთის ზრდის გათვალისწინებით შეადგენს 188,000 ლარს.

კანონპრექტით განისაზღვა იმ სუბიექტთა ჩამონათვალი, რომელიც დაექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას. კერძოდ, კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებელი, განთავსებისა და დროის განაწილების ხელშეკრულების მიმწოდებელი, ტურისტული გიდი, მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების მიმწოდებელი, სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი. აღნიშნულ

[6] შენიშვნა: (ადგილობრივი ექსპერტის საშუალო დღიური ანაზღაურება შეფასდა 383$ გროსი, ხოლო მოსალოდნელი დატვირთულობა შეადგენს 15 კონსულტანტ/დღეს)

[7] შენიშვნა: ხარჯები განსაზღვრულია იმ დაშვებით რომ ქოლ ცენტრი შეიქმნება 2024 წლის მეორე ნახევარში

საქმიანობას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო განახორციელებს არსებული ადმინისტრაციული რესურსით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:
კანონპროექტს გავლენა ექნება დანიშნულების მართვის ორგანიზაციის ხარჯებზე სატუსის მოპოვებისას დოკუმენტაციის წარდგენისა და გადასახდელი თანხის სახით, რომელიც განისაზღვრება სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით 2024 წელს. ასევე, კანონპროექტს გავლენა ექნება დანიშნულების მართვის ორგანოს წევრებზე, რომლებიც მიიღებენ ანაზღაურებას. აგრეტვე დოკუმენტაციის მომზადების პროცეში სხვადასხვა დაწესებულებებს გაეზარდოს შემოსავალი მომართვინობიდან გამომდინარე (მაგ.: სანოტარო ბიურო).

კანონოპროექტით ასევე განსაზღვრულია, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობა ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ „ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ სტატუსის მინიჭების გარეშე,გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

კანონპროექტს ფინანსური გავლენა ექნება შემდეგ სუბიექტებზე: კომბინირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებელი, განთავსებისა და დროის განაწილების ხელშეკრულების მიმწოდებელი, ტურისტული გიდი, მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების მიმწოდებელი, სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი. აღნიშნული აქამდე არ ექვემდებარებოდა სავალდებულო რეგისტრაციას.

წარმოდგენილი პროექტით, ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტს აუნაზღაუროს ზიანისთვის კომპენსაცია, რომლიც შეუძლია შეზღუდოს პაკეტის სამმაგი ოდენობით.

პროექტით ასევე განისაზღვრა, რომ ტურისტის დაუდევრობით ან მისი განზრახი ქმედებით, ტუროპერატორი უფლებამოსილია დახმარების გაწევისათვის მოსთხოვოს ტურისტს შესაბამისი საფასურის გადახდა. აღნიშნული საფასური არ უნდა აღემატებოდეს ტუროპერატორის მიერ ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს.

ტუროპერატორებისათვის სიახლეს წარმოადგენს ფინანსსური გარანტიის(უზრუნველყოფის) ქონა, ტურისტის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის ანაზღაურების მიზნით. რაც ტურისტს უფლებას აძლევს მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია. კანონპროექტით, ასევე განისაზღვრა ვალდებულების უზრუნველყოფის ფარგლები, რაც ტუროპაეტორის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი.

კანონპროექტით ასევე, წარმოდგენილია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხის გამოთვლის წესი. კერძოდ:

ა) ტუროპერატორი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ისეთ პაკეტებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს გარეთ ტურისტული მომსახურებებს და ჩარტერულ ფრენებს - პაკეტების დაგეგმილი წლიური გაყიდვების არანაკლებ 7%-ისა, მაგრამ არანაკლებ 30 000 ლარისა;

ბ) ტურაგენტი, რომელიც ამ კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ტუროპერატორის მიერ შექმნილი პაკეტის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტებს სთავაზობს ასეთ პაკეტს ან ასეთი ტუროპერატორის სახელით ჰყიდის ამ პაკეტს - პაკეტების დაგეგმილი წლიური გაყიდვების არანაკლებ 7%-ისა, მაგრამ არანაკლებ 30 000 ლარისა;

გ) ტუროპერატორი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ისეთ პაკეტებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს გარეთ ტურისტული მომსახურებებს და რეგულარულ ფრენებს - პაკეტების დაგეგმილი წლიური გაყიდვების არანაკლებ 3%-ისა, მაგრამ არანაკლებ 30 000 ლარისა ;

დ) ტუროპერატორი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ისეთ პაკეტებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს გარეთ ტურისტული მომსახურებებს, გარდა რეგულარული ან ჩარტერული ფრენებისა - პაკეტების დაგეგმილი წლიური გაყიდვების არანაკლებ 7%-ისა, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარისა ;

ე) კომბინირებული ტურისტული მომსახურებები, რომელიც ხორციელდება საქართველოში,საქართველოს გარეთ ან მხოლოდ საქართველოს გარეთ - დაგეგმილი კომბინირებული ტურისტული მომსახურებების წლიური გაყიდვების არანაკლებ 3%-ისა, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარისა;

უზრუნველყოფის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები. მოვაჭრე ვალდებულია შეაფასოს მისი უზრუნველყოფის შესაბამისობა და საჭიროების შემთხვევაში გაზარდოს მისი ოდენობა. ტუროპერატორს შეუძლია დააზღვიოს თითოეული პაკეტი, რომელიც დაფარავს თითოეულ პაკეტს ინდივიდუალურად, შესაბამისი, რისკების ოდენობით. თითოეული პაკეტის დაზღვევის შემთხვევაში ვალდებულების უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხა, განისაზღვრება სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

ასევე გაიწერა, ვადლდებულების უზრუნველყოფის გამოყენების წესი.

პროექტით, მაღალი რისკის ტურისტული მომსახურების მიმწოდებელს ევალება საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, რომლის პირობები (მათ შორის, ლიმიტები) და განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. აგრეთვე, ექვემდებარება შესაბამის სერტიფიცირებას, რომლსაც გასცემს აკრედიტირებული იუირიდიული პირი. აკრედიტაციის ერთიანი ორგანო მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად გამოითვლის აკრედიტაციის თანხას, რომლსაც გადაიხდიან სერტიფიკატის გამცემი ორგანოები. აგრეთვე, აკრედიტირებული იურიდიული პირები მიიღებენ შემოსავალს გაცემული სერტიფიკატებიდან.

სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა ფლობდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, რომლის პირობები (მათ შორის, ლიმიტები) და განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. აღნიშნული დაზღვევისთვის გადახდილი თანხა აისახება დაზღვევის გამცემი დაწესებულების შემოსავალზე.

სიახლეს წარმოადგენს, გიდის მაინდეფიცირებლი ნიშანი, რომლსაც გასცემს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მფლობელი პირი თავისუფლდება სახელმწიფო მუზეუმებსა და დაცულ ტერიტორიებზე შესვლისათვის დაწესებული გადასახდელისაგან. აგრეთვე, შეიძლება დაწესდეს სხვა სახის წამახალისებელი შეღავათები.

აგრეთვე, კანონპროექტით განისაზღვრება, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობა ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ „ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ სტატუსის მინიჭების გარეშე,გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, რაც აისახება ბუჯეტში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტი ითვალისიწნებს ჯარიმებს ტურიზმის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისთვის. კერძოდ:
1. სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის საქმიანობა პერსონალის სერტიფიკატისა და/ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პოლისის ფლობის გარეშე

გამოიწვევს დაჯარიმებას 500- დან 1000 ლარამდე ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 -დან 2000 ლარამდე ოდენობით.

3. ტურისტული გიდისა და სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის მიერ საქმიანობის განხორციელება საიდენტიფიკაციო მოწმობის ტარების გარეშე,

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარამდე ოდენობით.

4. მაღალი რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევით და/ან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ფლობის გარეშე.

გამოიწვევს დაჯარიმებას 800 -დან 1500 ლარამდე ოდენობით;

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება ჩადენილი განმეორებით -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1600-დან 3000 ლარამდე ოდენობით;

6. ტურ ოპერატორების და კომბინირებული ტურისტული მომსახურების მონაწილის მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოფის გარეშე -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

7. ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ საქმიანობის განხორციელება რეგისტრაციის გარეშე -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

8. ტურიზმის სფეროში კანონის აღსრულების ზედამხედველობის უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

9. სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვიდ ამ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

10. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობა ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ „ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ სტატუსის მინიჭების გარეშე,

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

11. საქართველოში შემოსული ვიზიტორის მიერ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევისგან სავალდებულო დაზღვევის წესის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

12. „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა მოთხოვნათა დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

ბ[1]) ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი ზეგავლენას არ ახდენს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
ინიციატორთა მოსაზრებით კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
წარმოდგენილი კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს

წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება გამომდინარეობს ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 347-ე მუხლიდან, რომლის თანახმად, „საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXIX დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად“. ამავე დანართით, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება თავისი კანონმდებლობა დაუახლოვოს 2009 წლის 14 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/122/EC დირექტივას მომხმარებელთა დაცვის შესახებ დროის წილობრივი განაწილების გრძელვადიანი არდადეგების, გადაყიდვისა და გაცვლის კონტრაქტების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით და 1990 წლის 13 ივნისის საბჭოს 90/314/EEC დირექტივას მოგზაურობის, არდადეგებისა და ტურების პაკეტების შესახებ (რომელიც ჩანაცვლდა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის (EU) 2015/2302 დირექტივით საგზურით მოგზაურობისა და კომბინირებული სამოგზაურო მომსახურებების შესახებ, რომლითაც ცვლილებები შედის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) No 2006/2004 და დირექტივაში 2011/83/EU და უქმდება საბჭოს დირექტივა 90/314/EEC) .

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

2009 წლის 14 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/122/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ დროის წილობრივი განაწილების გრძელვადიანი არდადეგების, გადაყიდვისა და გაცვლის კონტრაქტების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით და 1990 წლის 13 ივნისის საბჭოს 90/314/EEC დირექტივა მოგზაურობის, არდადეგებისა და ტურების პაკეტების შესახებ (რომელიც ჩანაცვლდა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 25 ნოემბრის (EU) 2015/2302 დირექტივით საგზურით მოგზაურობისა და კომბინირებული სამოგზაურო მომსახურებების შესახებ, რომლითაც ცვლილებები შედის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) No 2006/2004 და დირექტივაში 2011/83/EU და უქმდება საბჭოს დირექტივა 90/314/EEC) .

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტი მომზადდა USAID ეკონომიკური მმართველობის პროგრამის დახმარებითა და აქტიური ჩართულობით, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების, დარგის ექსპერტების მონაწილეობით. კანონპროექტის მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ტურისტული სფეროს ასოციაციები (მათ შორის ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსი);

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

USAID ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა მნიშვნელოვანი კვლევები: „ტურიზმის შესახებ კანონის დეტალური კონცეფცია“, და „მარეგულირებელი ზემოქმედების შეფასება ტურიზმის კანონპროექტის გარკვეული ასპექტების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, დამუშავდა ევროკავშირის ქვეყნებისა და სხვა ქვეყნების (არგენტინა, ავსტრალია, საფრანგეთი საბერძნეთი, ესტონეთი, შვეიცარია, ახალი ზელანდია, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, მალტა, ნიდერლანდები, სერბეთი, ესპანეთი და თურქეთი, ასევე ბულგარეთი, ხორვატია და მონტენეგრო) გამოცდილება ტურიზმის სახელმწიფო მართვისა და რეგულირების სფეროში.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით სონღულაშვილი, ანტონ ობოლაშვილი, ელგუჯა გოცირიძე, ირმა ზავრადაშვილი, ნინო წილოსანი, ეკა სეფაშვილი, ლევან მგალობლიშვილი, ვასილ ჩიგოგიძე, ბეჟან წაქაძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით სონღულაშვილი, ანტონ ობოლაშვილი, ელგუჯა გოცირიძე, ირმა ზავრადაშვილი, ნინო წილოსანი, ეკა სეფაშვილი, ლევან მგალობლიშვილი, ვასილ ჩიგოგიძე, ბეჟან წაქაძე.